კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2024

შინაარსი

შესავალი 2

1. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის არსი და მნიშვნელობა 3

1.1. რა არის კურიკულუმი? 3

1.2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმი და ხარისხის უზრუნველყოფა 3

1.3. კურიკულუმების მახასიათებლები ეროვნული სტანდარტების მიხედვით 4

1.4. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილები 7

2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შერჩევა 9

2.1. საქართველოში შექმნილი ადრეული განათლების კურიკულუმები 11

2.2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შერჩევის პროცესი 14

3. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შექმნა 16

3.1. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შექმნის პროცესი 17

4. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის გაზიარება 20

4.1. მშობლები 20

4.2. დაწესებულების პერსონალი 22

5. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შეფასება და განვითარება 22

5.1. კურიკულუმის შეფასების პროცესი 23

5.2. კურიკულუმის შეფასების პროცესში შესასწავლი საკითხები 24

5.3. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება 26

შესავალი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების (შემდგომში - ავტორიზაციის სტანდარტები) მნიშვნელოვანი მიმართულებაა კურიკულუმი, რომლის ტიპოლოგია, დაგეგმვის პროცესი, განხორციელება, შეფასება და განვითარების მექანიზმები ხარისხიანი მომსახურების წინაპირობაა. შესაბამისად, ავტორიზაციის პროცესში ჩართული ყველა მხარე უნდა იზიარებდეს იმ პრინციპებსა და პრაქტიკებს, რაც ხარისხიან კურიკულუმთანაა დაკავშირებული.

მოცემული მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიზანიც სწორედ ისაა, რომ ერთის მხრივ, დაეხმაროს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს (შემდგომ-დაწესებულება) კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, მისცეს საშუალება ავტორიზაციის პროცესში ჩართულ მხარეებს ნათლად დაინახონ, რას მოიცავს ეს პროცესი და როგორ უნდა დაკმაყოფილდეს ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნები. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე რესურსს, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც თავად დაწესებულებებისათვის, ასევე მათი მართვის მუნიციპალური ორგანოებისათვის, თუ სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

1. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის არსი და მნიშვნელობა

1.1. რა არის კურიკულუმი?

მსოფლიოში ძალიან მრავალფეროვანი ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმები არსებობს: ზოგიერთი ძალიან დეტალურად აღწერს კონკრეტულად რა საქმიანობები უნდა შესთავაზოს საგანმანათლებლო პერსონალმა ბავშვებს ყოველდღიურად, ზოგიერთი კი უფრო ზოგად პრინციპებს და მითითებებს გვთავაზობს და თავისუფლებას აძლევს დაწესებულებას თავად განსაზღვროს, თუ როგორ გაატარებენ ბავშვები დღის მონაკვეთს საბავშვო ბაღში. ასევე, კურიკულუმი შეიძლება ემსახურებოდეს სისტემას, ეროვნული კურიკულუმის შემთხვევაში ან - კონკრეტულ ინსტიტუციას, დაწესებულების კურიკულუმის შემთხვევაში. ერთი კურიკულუმი შეიძლება ემსახურებოდეს ბავშვის განვითარების კონკრეტული სფეროს მხარდაჭერას, ან ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას.

ზემოთ მოყვანილი მრავალფეროვნების მაგალითები ცხადყოფს, რომ კურიკულუმის რაობა არ არის მარტივი განსასაზღვრი. ყველაზე მარტივი განმარტება, რომელიც ლიტერატურაში გვხვდება, აღნიშნავს, რომ კურიკულუმი ეს არის დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, ანუ ინფორმაცია სწავლების შინაარსსა და ფორმის შესახებ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით კურიკულუმი არის **„საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის მიზანს, შინაარსსა და ფორმას”.** ამ განმარტებიდან ჩანს, რომ კურიკულუმი არის დაწესებულებაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც დაწესებულება ამცნობს დაინტერესებულ მხარეებს, თუ რა მიზანს ემსახურება და როგორ აღწევს ამ მიზანს. კურიკულუმი ასევე წარმოადგენს ბავშვის განვითარების უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტს. დაწესებულების კურიკულმში ნათლად ჩანს თუ რა პრინციპებს, მიზნებს, ღირებულებებს, ბავშვის განვითარების მხარდამჭერ თუ პედაგოგიურ მიდგომებს ეფუძნება კონკრეტული დაწესებულების მუშაობა.

1.2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმი და ხარისხის უზრუნველყოფა

მართალია ქართული კანონმდებლობა აძლევს დაწესებულებებს თავისუფლებას, დამოუკიდებლად შეარჩიონ ან შექმნან სასურველი კურიკულუმი, არსებობს ეროვნული სტანდარტებით განსაზღვრული სხვადასხვა მახასიათებელი, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც დაწესებულების კურიკულუმი ვერ ჩაითვლება

ხარისხიანად. ეს მახასიათებლები გაწერილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებსა“ და „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებში“. სწორედ ეს მახასიათებლები უზრუნველყოფენ იმას, რომ განურჩევლად კურიკულუმის ტიპის, მოდელისა თუ ფილოსოფიის, ყველა დაწესებულება ორიენტირებულია ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებზე. სტანდარტებით განსაზღვრულ მახასიათებლებთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოქმედი ყველა კურიკულუმი გარკვეული ელემენტებისგან შედგებოდეს.

1.3. კურიკულუმების მახასიათებლები ეროვნული სტანდარტების მიხედვით

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებული/შერჩეული კურიკულუმი ხელს უნდა უწყობდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. აღნიშნული სტანდარტები დამტკიცდა 2017 წელს (გადაიხედა 2023 წელს) და აერთიანებს ორი სახის სტანდარტს:

1. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს, რომელიც მოიცავს სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს;
2. პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს.

პირველი სტანდარტი ეხება ბავშვების მახასიათებლებს და განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში. ხოლო მეორე ე.წ. ხარისხის სტანდარტი აღწერს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მახასიათებლებს.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები

მეორე მნიშვნელოვანი ეროვნული დოკუმენტი, რომელიც აღწერს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულების მიერ შერჩეული ან შექმნილი კურიკულუმი იმისათვის, რომ დაწესებულებამ მოიპოვოს ავტორიზაცია, ავტორიზაციის სტანდარტებია. ავტორიზაციის სტანდარტი ეფუძნება ხარისხის სტანდარტში მოცემულ ინფორმაციას და გვთავაზობს უფრო კონკრეტულ ჩამონათვალს კომპონენტების, კრიტერიუმების და ინდიკატორების სახით, რომლებიც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის წინაპირობაა.

ავტორიზაციის სტანდარტი დაწესებულებაში მოქმედი ადრეული განათლების კურიკულუმის სამ ძირითად ეტაპზე აკეთებს აქცენტს:

1. **კურიკულუმის დაგეგმვა** - ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით იმისათვის, რომ დაწესებულებამ მოიპოვოს ადრეული ან/და სკოლამდელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების უფლება, მასში უნდა მოქმედებდეს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრაქტიკა შესაბამისი რეგულაციით იყოს გამყარებული.
2. **კურიკულუმის განხორციელება** - კურიკულუმის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი კურიკულუმის პრინციპებისა და მიდგომების შესაბამისად, ჯგუფისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გეგმავდეს თამაშზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის თამაშებში. გარდა ამისა, დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ყველა ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მიზნების მიღწევისათვის საჭირო ფიზიკურ სივრცეს და საგანამანთლებლო რესურსს. ავტორიზაციის სტანდარტით განსზღვრული კურიკულუმის განხორციელების კიდევ ერთი კრიტერიუმი დაწესებულებაში მოქმედი ბავშვზე დაკვირვების პრაქტიკაა, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვან მეთოდებს და გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.
3. **კურიკულუმის შეფასება** - ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებას უნდა ქონდეს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები, რომელიც უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას.

ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით კურიკულუმის დაგეგმვის შედეგად დაწესებულებამ უნდა შეარჩიოს ან შექმნას კურიკულუმი, რომელიც:

- ორიენტრირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევაზე. ეს ნიშნავს, რომ კურიკულუმით გათვალიწინებული სტრატეგიები და აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტით განსაზღვრული და ასაკობრივ ჭრილში გაწერილი შედეგების მიღწევას განვითარების ხუთ სფეროსა (1. ფიზიკური და სენსორული განვითარება, 2. სოციალურ-ემოციური განვითარება, 3. კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, 4. შემეცნებითი განვითარება, 5. დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება) და სამ მიმართულებაში (1. ხელოვნება,

2. წიგნიერება, 3. მეცნიერება). კურიკულუმის მიზნები ხელს უნდა უწყობდეს ბავშვებში ამ სფეროებისა და მიმართულებების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. ასევე შესაძლებელია, რომ დაწესებულებამ საკუთარ კურიკულუმში დამატებით, უფრო სიღრმისეული აქცენტი გააკეთოს რომელიმე სფეროსა თუ თემატურ მიმართულებებში მოცემულ საკითხებზე და ეს კურიკულუმის მიზნებში იყოს გაცხადებული. თუმცა, თუ კურიკულუმი სრულად არ ფარავს განვითარების ყველა სფეროსა და თემატურ მიმართულებებს, ის არ არის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი. მაგალითად, სრულიად დასაშვებია, რომ დაწესებულებაში მოქმედებდეს კურიკულუმი, რომლის მიზანიც ხელოვნების მეშვეობით ბავშვის ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობაა, თუ მასში წარმოდგენილი სხვადასხვა მრავალფეროვანი საქმიანობები და მიდგომები ხელს უწყობს განვითარების ყველა სფეროსა და მიმართულებებში წარმოდგენილი შედეგების მიღწევას. თუ ეს ასე არ არის, მაშინ დაწესებულებამ მაინც შეიძლება იხელმძღვანელოს ასეთი კურიკულუმით, თუმცა, ეს საკმარისი არ იქნება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მან უნდა გაამდიდროს არსებული ან დამატებით შეარჩიოს სხვა კურიკულუმიც, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას ის ცოდნა, უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები განუვითაროს ბავშვებს, რაც ხელოვნების მეშვეობით ბავშვის ემოციური კეთილდღეობის კურიკულუმში არ გვხვდება.

- ეფუძნება თამაშს და აღიარებს ბავშვს, როგორც საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეს;
- ითვალისწინებს ოჯახებისა და ადგილობრივი თემის ჩართულობას;
- ითვალისწინებს მრავალფეროვან, ბავშვების ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს;
- გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

შესაბამისად, სწორედ ამ ხუთი მახასიათებლით ფასდება ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმი, ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით. ის თუ როგორ უნდა შეირჩეს ან შეიქმნას ასეთი კურიკულუმი მომდევნო თავებში უფრო დეტალურადაა განხილული.

1.4. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილები

მსოფლიოში არსებობს ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის და მოდელის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კურიკულუმები. ისინი შეიძლება მკვეთრად განსხვავებული და რიგ შემთხვევებში ურთიერთსაწინააღმდეგოც კი იყოს. თუმცა, სხვადასხვა მოდელისა და ტიპის კურიკულუმების შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო ის ძირითადი ნაწილები, რომლისგანაც უნდა შედგებოდეს ნებისმიერი კურიკულუმი. ეს ნაწილებია:

მიზანი - კურიკულუმის მიზნები აღწერს, თუ რა შედეგის მიღწევას ემსახურება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. საქართველოში, ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის დამტკიცებით, ჩნდება დოკუმენტი, რომელიც გვიწესებს მიზანს - დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას - შესაბამისად, ნებისმიერი კურიკულუმი, რომელსაც დაწესებულება იყენებს, ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადრეული განათლების კურიკულუმის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების ფიზიკური და სენსორული, სოციალურ-ემოციური, ენისა და მეტყველების, შემეცნებითი, დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარების ხელშეწყობას ხელოვნების, წიგნიერებისა და მეცნიერების მიმართულებით. ეს მიზანი უშუალოდ კონკრეტული დაწესებულების კურიკულუმის დოკუმენტში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ფორმულირებული და სტანდარტის მხოლოდ რამდენიმე შედეგზე აკეთებდეს აქცენტს (მაგ. შემოქმედებითობა, პრობლემის გადაჭრა, მედეგობა და ა.შ.), თუმცა, იქვე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ გარდა ძირითადი მიზნებისა, კურიკულუმი ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას. მაგ: კურიკულუმ „ამომავალის " მიზანი პირდაპირ აკეთებს ბმას ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ მიზანზე და ამბობს, რომ ამ კურიკულუმის მიზანი ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების რეალიზების საშუალებაა და რომ კურიკულუმის მიზანი ბავშვის ჰოლისტური განვითარებაა, მაშინ როცა „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშის" შემთხვევაში კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს გამოყოფილი - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიზნებზე ორიენტირებით ბავშვის ჰოლისტური განვითარება არ ხდება.

შინაარსი - კურიკულუმის შინაარსი დოკუმენტის ის ნაწილია, სადაც აღწერილია თუ რისი სწავლება ხდება დაწესებულებაში, რომელი სფეროების განვითარებისკენ მიმართული საქმიანობები იგეგმება დაწესებულებაში და რა თემებს და რა ტიპის აქტივობებს სთავაზობს კურიკულუმი ბავშვებს.

მეთოდოლოგია - კურიკულუმის ამ ნაწილში განსაზღვრულია კონკრეტულად როგორ, რა მიდგომების, პედაგოგიური მეთოდების, ტექნიკებისა და სტრატეგიების გამოყენებით აღწევს დაწესებულება დასახულ მიზნებს (მაგალითად პოზიტიური დისციპლინის სტრატეგიები, მოდელირება, ხარაჩოს მეთოდი). როგორ არის გაწერილი დღის მიმდინარეობა და ა.შ.

ფიზიკური გარემო და საგანმანათლებლო რესურსი - კურიკულუმის ამ ნაწილში განსაზღვრული უნდა იყოს, თუ როგორ ხედავს კურიკულუმი ფიზიკურ სივრცეს, შიდა და გარე საგანმანათლებლო გარემოს, როგორ უნდა იყოს ჯგუფი მოწყობილი, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სივრცეები და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ასევე მნიშვნელოვანია, განსაზღვრული იყოს იმ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნის/მიზნების მისაღწევად ამ რესურსის მინიმალური რაოდენობა.

შეფასება - შეფასების ნაწილში აღწერილია ის მეთოდები და მიდგომები, რომლებსაც დაწესებულება იყენებს კურიკულუმით განსაზღვრული მისაღწევი მიზნების გასაზომად და იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავზომოთ მიღებული შედეგები. ეს მეთოდები უნდა იყოს მრავალაფეროვანი და ითვალისწინებდეს როგორც საგანმანათლებლო პერსონალის დაკვირვების ჩანაწერების, ასევე ბავშვების ნამუშევრების და მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შერჩევა

ადრეული განათლების კურიკულუმის შერჩევა არის პროცესი, როდესაც დაწესებულება განსაზღვრავს, თუ რომელი არსებული, სახელმწიფოსა თუ სხვა ავტორის მიერ შემუშავებული, კურიკულუმით შეუწყობს ხელს ბავშვების განვითარებას. ამ დროს დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას, იმის შესახებ თუ რომელი კურიკულუმის პრინციპებს, ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომებს, შეფასების სისტემებსა და ფილოსოფიას დაეფუძნება საგანმანათლებლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ როდესაც დაწესებულება შეარჩევს ერთ კონკრეტულ კურიკულუმს ეს არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია სხვა კურიკულუმის, როგორც დამხმარე, დამატებითი რესურსის სახით გამოყენება, საიდანაც საგანმანათლებლო პერსონალი შეარჩევს საკუთარი პრაქტიკის მიზნებისა და პრინციპები შესაბამის თემებს, აქტივობებს, გეგმის ნიმუშებს, დაკვირვების რუბრიკებს, და სხვა. კურიკულუმის შერჩევის პროცესში დაწესებულება ითვალისწინებს როგორც ზემოთ აღწერილ ხარისხიანი კურიკულუმების მახასიათებლებს, ასევე საკუთარ რესურსს. ამ უკანასკნელში იგულისხმება, როგორც საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომია დაწესებულებისათვის კონკრეტული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი და ფიზიკური გარემო. რიგ შემთხვევებში, საქმე გვაქვს ისეთ კურიკულუმებთან (ძირითადად საერთაშორისოდ აღიარებული, როგორიცაა მაგალითად ვალდორფის ან მონტესორის მეთოდიკის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმები), რომელთა განხორციელებასაც გარკვეული უფლების მოპოვება სჭირდება, მათ შორის, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კურიკულუმის შერჩევის დროს ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. დაწესებულება ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმ კონტექსტს, რომელშიც მუშაობს და თემის საჭროებებსა და ინტერესებს. მაგალითად, თემში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის ქართული არ არის მშობლიური ენა, დაწესებულებამ უნდა შეარჩიოს კურიკულუმი, რომელიც საშუალებას მისცემს ხელი შეუწყოს ბავშვების კომპეტენციების განვითარებას ქართული ენის მიმართულებით და ასახავს ადგილობრივი თემის კულტურულ, ლინგვისტურ თუ სხვა მრავალფეროვნებას.

დაწესებულებას შეუძლია შეარჩიოს როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნის ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემებისთვის შემუშავებული კურიკულუმი, თუმცა ის უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთი კურიკულუმი ნამდვილად პასუხობს ეროვნულ სტანდარტებში მითითებულ მოთხოვნებს და არის ხარისხიანი კურიკულუმის ყველა მახასიათებლის მატარებელი. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ კურიკულუმი უნდა იყოს მორგებული ადგილობრივი თემის საჭიროებეს და უნდა ითვალისწინებდეს იმ მოსახლეობის მახასიათებლებს სადაც ინერგება. ამიტომ

არსებობს დიდი ალბათობა, რომ დაწესებულებას დასჭირდეს საერთაშორისო კურიკულუმის ადგილობრივ კონტექსტზე მორგება და მასში გარკვეული ცვლილებების განხორციელება. ამ მოცემულობის გათვალისწინებით მეტად სავარაუდოა, რომ საერთაშორისო კურიკულუმის არჩევის შემთხვევაში დაწესებულებას დასჭირდება კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შევსება.

დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად ერთზე მეტი კურიკულუმის გამოყენება. მას შეუძლია სხვადასხვა პროგრამაზე/მისამართზე (სხვადასხვა ლოკაციაზე არსებულ ბაღში) განახორციელოს სხვადასხვა კურიკულუმით შედგენილი პროგრამები. უფრო მეტიც, დაწესებულებას ასევე შეუძლია, რომ ერთ კონკრეტულ მისამართზე გამოიყენოს სხვადასხვა კურიკულუმით შედგენილი რამდენიმე პროგრამა. ეს კურიკულუმები შეიძლება იყოს როგორც შერჩეული, (არსებული, საერთაშორისოდ თუ საქართველოში აღიარებული დოკუმენტები), ასევე შექმნილი (დაწესებულების მიერ ერთი ან ერთზე მეტი კურიკულუმების მორგების/გაერთიანების ან სრულიად ახალი დოკუმენტის შემუშავების გზით მიღებული დოკუმენტი).მაგ: შესაძლებელია ბაღების გაერთიანებამ თავის პირობითად 10 ბაღში დანერგოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ერთი პროგრამა, რომელიც დაეფუძნება კურიკულუმ „თამაშს“. მას ასევე შეუძლია ბაღების ნაწილში დანერგოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, რომელიც დაეფუძნება კურიკულუმ „თამაშს“, ხოლო ბაღების მეორე ნაწილში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მეორე პროგრამა, რომელიც დაეფუძნება მაგ: მონტესორის მეთოდოლოგიას. დაწესებულებას ასევე შეუძლია ერთიდაიგივე ლოკაციაზე პარალელურ რეჟიმში დანერგილი ჰქონდეს ორი განსხვავებული პროგრამა. მაგ: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა კურიკულუმ „თამაშზე“ დაფუძნებით ქართულენოვანი ჯგუფის ბავშვებისთვის და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა რეჯიო ემილიას მიდგომებით ინგლისურ ენაზე.

2.1. საქართველოში შექმნილი ადრეული განათლების კურიკულუმები



ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში შეიქმნა 2020 წელს ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით. კურიკულუმი ორი ნაწილისაგან შედგება და თვალსაჩინოდ წარმოადგენს, თუ როგორ უნდა დაგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ ის გამოცდილებები და საქმიანობები, რომლებსაც დაწებულება სთავაზობს ბავშვებს ყველა სფეროს და მიმართულების კომპეტენციის განვითარებისათვის. კურიკულუმს ორი მთავარი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღოჩენა, თუმცა, ის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს და მისი შინაარსი და მეთოდოლოგიური მითითებები ხელს უწყობს ბავშვის სწავლისა და კეთილდღეობის მყარი საფუძვლის შექმნას. კურიკულუმი აღიარებს:

- ბავშვს, როგორც საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეს,
- თამაშს და მრავალფეროვან და ასაკის შესაბამის გამოცდილებებს, როგორც ბავშვის განვითარების აუცილებელ პირობას;
- ბავშვების ოჯახებსა და თემთან თანამშრომლობას, როგორც ბავშებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს.

კურიკულუმში წარმოდგენილია ყველა ელემენტი (მიზანი, შინაარსი, მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, შეფასება) და ფარავს განვითრების ხუთივე სფეროსა და სამ მიმართულებას და შესაბამისად ის სრულ თანხვედრაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი სწავლისა და განვითარებისთვის 2015 წელს შეიქმნა იმ ბავშვების სწავლისა და განვითარების მხარდასაჭერად, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდათ 5 წელი და მომდევნო წლის სექტემბერს დაწყებითი სკოლის პირველ კლასში მოუწევთ სწავლის დაწყება. კურიკულუმს რამდენიმე მიზანი აქვს:

- განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
- დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმი ბავშვზე ორიენტირებულ და თამაშზე დაფუძნებულ მიდგომებს იყენებს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის და ითვალისწინებს მრავალფეროვანი გამოცდილებების შეთავაზებას, მისი გამოყენება შეზღუდულია - შეიძლება მხოლოდ 5-6 წლიან ბავშვების ჯგუფში და დაუშველებელია ამ კურიკულუმით უფრო პატარა ბავშვებთან მუშაობა.

სკოლამდელი განათლების კურიკულუმი 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის (ე.წ. ამომავალი) არის 2019 წელს შექმნილი, ბავშვზე ორიენტირებული, ჰოლისტური დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოში მცხოვრები ბავშვების მრავალი მახასიათებელი: ასაკი, ენობრივი, რელიგიური და კულტურული მახასიათებლები, შესაძლებლობები და სხვა. სკოლამდელი განათლების ეს კურიკულუმი „ემერჯენტული“ ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი შინაარსი და ნებისმიერი გამოცდილება, რასაც მას დაწესებულება სთავაზობს, გამომდინარეობს მათი მიმდინარე ინტერესებიდან და მიდრეკილებებიდან. ეს კურკულუმი 4 ნაწილისაგან შედგება და მასში დეტალურადაა განხილული კურიკულუმის თეორიული საფუძვლები, ბავშვის როლი საგანმანათლებლო პროცესში, პოზიტიური/ ხელშემწყობი გარემო, მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, ოჯახთან ურთიერთობის საკითხები და ბავშვებთან მომუშავე პერსონალის კეთილდღეობისა და თვითგანვითარებაზე ზრუნვის სტრატეგიები. ბავშვის განვითარების თეორიების გარდა კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტში განსაზღვრულ მახასიათებლებს.

ბასკო - სასკოლო მზაობის პროგრამა განკუთვნილია 5-6 წლის ასაკის ბავშვებისათვის და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისთვის მომზადებას. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წინასასკოლო ჯგუფებსა და დაწესებულებებში. მართალია, ეს კურიკულუმი შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცებამდე, 2014 წელს, თუმცა, დოკუმენტში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები და გამოცდილებები, რომლებიც განვითარების ყველა სფეროსა და თემატური მიმართულების შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, კურიკულუმის სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს ბავშვის სწავლის აქტიურ მონაწილედ აღიარებას და ხაზს უსვამს ბავშვის განვითარებისთვის თამაშის მნიშვნელობას. შესაბამისად, ეს კურიკულუმიც აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს და მისი გამოყენება ნებადართულია სასკოლო მზაობის პროგრამების ფარგლებში.





გარდა ზემოთ აღწერილი კურიკულუმებისა საქართველოს დაწესებულებებში ვხვდებით სხვადასხვა მეთოდოლოგიურ რესურსს, რომლებიც ასევე გამოიყენება ბავშვების განვითარების ხელშესაწყობად, მაგრამ არ წარმოადგენენ კურიკულუმს, რადგან აკლია კურიკულუმის ერთი ან რამდენიმე აუცილებელი კომპონენტი (მიზნები, შინაარსი, მეთოდოლოგია, შეფასება). ყველაზე გავრცელებული ასეთი რესურსი არის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვის (ე.წ. "ყვითელი წიგნი"), რომელიც შეიქმნა თბილისის ბაღებისთვის და განკუთვნილია 3-4 და 4-5 წლის ბავშვებთან სამუშაოდ. პროგრამა შემუშავებულია თემატური სწავლების პრინციპების გათვალისწინებით და მასში თავმოყრილი აქტივობები ხელს უწყობს ბავშვების შემეცნებითი, შემოქმედებითი, მოტორულ, მეტყველების, სოციალურ და ემოციური უნარების განვითარებას. მართალია, საქართველოს დაწესებულებების უმრავლესობაში სწორედ ეს რესურსი გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად და ბავშვების სწავლა-განვითარების ხელშესაწყობად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ყვითელი წიგნი" კურიკულუმი არ არის, რადგან ის არ მოიცავს კურიკულუმის ყველა აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად დაწესებულება, რომელიც მხოლოდ ამ რესურსს იყენებს, ვერ

დააყმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თუმცა, ეს პროგრამა შეიძლება ძალიან კარგად იქნას გამოყენებული, როგორც დამატებითი/დამხმარე პროგრამა, რომელიც შეავსებს დაწესებულების ძირითად კურიკულუმს.

2.2. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შერჩევის პროცესი

კურიკულუმის შერჩევის პროცესში წამყვანი როლი საგანმანათლებლო პერსონალს ეკისრება. თუმცა, აუცილებელია ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობა, რადგან ადმინისტრაცია კარგად იცნობს დაწესებულების არსებულ რესურსს და თემის საჭიროებებს. შესაბამისად, **კურიკულუმის შერჩევის პირველი ეტაპი** სწორედ იმ პერსონალის იდენტიფიცირებაა, ვინც განიხილავს და შეაფასებს სხვადასხვა კურიკულუმს და ამის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის დოკუმენტს. კურიკულუმის შერჩევის ჯგუფის წევრების იდენტიფიცირებასთან ერთად მნიშვნელოვანია, ერთი პასუხისმგებელი პირის დანიშვნაც, რომელიც უხელმძღვანელებს პროცესს, გადაანაწილებს ჯგუფის წევრების ფუნქციებს, დაორგანიზებს ჯგუფის შეხვედრებს და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ჯგუფის შექმნა და მისი ფუნქციონირება განსაზღვრული იყოს დაწესებულების **ხელმძღვანელი პირის ბრძანებით**, რომელშიც მითითებული იქნება იმ პერსონალის მონაცემები, ვინც მონაწილეობას იღებს შერჩევის პროცესში. სასურველია ამ პროცესში დაწესებულების ყველა აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი იყოს ჩართული, თუმცა პროგრამების/მისამართების სიმრავლის გამო (გაერთიანების ფორმატისთვის) შეიძლება ეს ვერ მოხერხდეს. ამ შემთხვევაში დაწესებულება შეარჩევს რამდენიმე განსხვავებული მახასიათებლის (მაგ. ბავშვების მცირე და დიდი რაოდენობით, ქალაქის და სოფლის, კულტურულად/ბილინგვურად მრავალფეროვანი და ერთგვაროვანი, და სხვა) მქონე ბაღებს, საიდანაც მოიწვევს საგანმანათლებლო პერსონალს კურიკულუმის შერჩევის ჯგუფში.

შემდეგი ნაბიჯი უშუალოდ არსებული კურიკულუმების გაცნობაა. ამისათვის ჯგუფმა უნდა მოიძიოს არსებული, უკვე შექმნილი კურიკულუმები და დეტალურად განიხილოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს თითოეული დოკუმენტი ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და თუ არის კურიკულუმი მორგებული ადგილობრივი თემის საჭიროებებს. ამ ეტაპზე ასევე ხდება დაწესებულების საჭიროებების და ხელმისაწვდომი რესურსის შეფასება (რა სჭირდება დაწესებულებას კურიკულუმის განსახორციელებლად და რამდენად აქვს მას ეს რესურსი) და ინფორმაციის მოგროვება იმაზე, თუ რა იქნება საჭირო ამ კურიკულუმის განსახორციელებლად

(პერსონალის დამატებითი ტრენინგი, ფიზიკური გარემოს სპეციფიური მოწყობა და ა.შ).

ზოგიერთ, უკვე არსებულ კურიკულუმში მოცემულია მისი განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსის ჩამონათვალი. თუმცა, ეს დოკუმენტები არ განსაზღვრავს ამ რესურსის მინიმალურ ოდენობას ერთ ჯგუფზე/ბავშვზე და ეს დაწესებულებამ თავად უნდა დაადგინოს კურიკულუმის მეთოდოლოგიის საფუძელზე. ამის შემდეგ დაწესებულებამ უნდა შეადგინოს საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი რაოდენობების მითითებით და კურიკულუმის დამტკიცების ბრძანების დანართად წარმოადგინოს.

დაწესებულების საჭიროებების და ხელმისაწვდომი რესურსების შეფასების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული **დაწესებულების ადმინისტრაცია, მეთოდოლოგიური მიმართულებით მხარდამჭერი თანამშრომლები და საგანმანათლებლო პერსონალი**. შესაძლებელია კურიკულუმის შერჩევის პროცესში გამოყენებული იქნას ისეთი კრიტერიუმებიც, როგორიცაა: ინდივიდუალურობა (ისეთი კურიკულუმის შერჩევა, რომელიც სხვა ბაღებს არ აქვთ), ინოვატორობა (ისეთი კურიკულუმის შემოტანა, რომელიც ქვეყანაში ჯერ არაა დანერგილი), კონკურენცია და განსხვავებული ნიშის მოპოვება სეგმენტზე და სხვ.

ბოლო ეტაპზე კი დაწესებულებამ არსებული ინფორმაციის და მსჯელობის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ კურიკულუმს განოიყენებს ბავშვების განვითარების ხელშესაწყობად და ეს გადაწყვეტილება დაამოწმოს გარკვეული დოკუმენტით - დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით. საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში ასეთ ბრძანებაში კონკრეტულად გაიწერება, თუ რომელ პროგრამაზე/მისამართზე რომელი კურიკულუმის გამოყენება ხდება. თუ დაწესებულება ერთ პროგრამაზე/მისამართზე ერთზე მეტ კურიკულუმს იყენებს, მან ბრძანებაში ისიც უნდა აღნიშნოს, თუ რომელი ჯგუფებისთვის არის გამოყენებული კონკრეტული კურიკულუმი.

ასევე შესაძლებელია, რომ მოცემული მსჯელობის საფუძველზე დაწესებულებამ არ აირჩიოს არცერთი არსებული კურიკულუმი და მიიღოს საკუთარი კურიკულუმის შექმნის გადაწყვეტილება.

3. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შექმნა

კურიკულუმის დოკუმენტის შექმნა არის პროცესი, რომლის დროსაც დაწესებულება შეიმუშავებს საკუთარ კურიკულუმს. ეს შეიძლება იყოს როგორც სრულიად ახალი, აქამდე არ არსებული დოკუმენტის დაწერა, ასევე არსებული სხვადასხვა კურიკულუმის გაერთიანება. ამასთან, თუ დაწესებულება ხელმძღვანელობს რამდენიმე კურიკულუმით, მან უნდა ამოკრიფოს ამ კურიკულუმებიდან ის ნაწილები, რომლებსაც იყენებს პრაქტიკაში და ერთ დოკუმენტში გააერთიანოს, რომელიც ასევე შექმნილი კურიკულუმი იქნება. შერჩეული კურიკულუმის მსგავსად, შექმნილი კურიკულუმიც უნდა ითვალისწინებდეს სტანდარტების მოთხოვნებსა და ადგილობრივ კონტექსტს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დაწესებულება დარწმუნდეს, რომ რამდენიმე კურიკულუმის შერწყმის შემთხვევაში, მიღებული პროდუქტი სრულად ფარავს განვითარების ხუთივე სფეროს და თემატურ მიმართულებებს.

კურიკულუმის შექმნა კომპლექსური ამოცანაა და საჭიროებს კურიკულუმის ძლიერ მოდელს, რომელიც ემყარება კონკრეტულ თეორიულ მიდგომებს. შესაბამისად კურიკულუმის შექმნაზე პასუხისმგებელი გუნდი უნდა იცნობდეს სწავლა-სწავლების თეორიებსა და ადრეული განათლების კურიკულუმების მოდელებს.

კურიკულუმის შექმნა შესაძლებელია რამდენიმე ალტერნატიული გზით მოხდეს:

არსებული ადამიანური რესურსის გამოყენება – თუ დაწესებულებაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი დაწესებულებას შეუძლია მათი ჩართვა კურიკულუმის შექმნის პროცესში.

მოწვეული სპეციალისტის მომსახურება - თუ სხვადასხვა მიზეზის გამო დაწესებულებაში დასაქმებულ პერსონალს არ შეუძლია კურიკულუმის შექმნა, შესაძლებელია დოკუმენტი შეიმუშავოს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა, რომელიც არ არის დაწესებულების თანამშრომელი და მისი მომსახურების შესყიდვა ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებშია შესაძლებელი. ამ სპეციალისტის მოვალეობებში შეიძლება შედიოდეს როგორც კურიკულუმის დამოუკიდებლად შექმნა, ასევე კურიკულუმის შექმნის პროცესის ფასილიტაცია და დაწესებულების პერსონალის მხარდაჭერა კურიკულუმის შექმნის პროცესში.

შესაბამისი სამუშაო პოზიციის შექმნა/საშტატო ერთეულის დამატება - თუ დაწესებულება ბევრ მისამართზე ახორციელებს პროგრამას და ყველა ამ პროგრამაზე განსხვავებული კურიკულუმის შექმნის გადაწყვეტილებას მიიღებს, მას შეუძლია დაწესებულების საშტატო ნუსხაში შესაბამისი სამუშაო პოზიციის შექმნა და მუდმივ

თანამშრომლად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის დასაქმება. ახალი საშტატო ერთეულის შექმნა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც დაწესებულებას დახმარება სჭირდება არა მხოლოდ კურიკულუმის შექმნის, არამედ მისი განხორციელების, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებზეც.

3.1. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შექმნის პროცესი

კურიკულუმის შექმნა მონაწილეობითი პროცესი უნდა იყოს და მასში ერთვებოდეს როგორც საგანმანათლებლო, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. კურიკულუმის შექმნის პროცესი მსგავსია კურსიკულუმის შერჩევის პროცესისა, სადაც **პირველი ნაბიჯი სამუშაო ჯგუფის შექმნა** და პასუხიმსგებელი პირის (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის) იდენტიფიცირებაა. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია პროცესის ფორმალიზება და სამუშაო ჯგუფის ბრძანებით შექმნა. ამ სამუშაო ჯგუფში ჩართული საგანამანათლებლო პერსონალის შერჩევა ისევე უნდა მოხდეს როგორც ეს კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შემთხვევაში ხდება, რაც ზემოთ დეტალურადაა აღწერილი კურიკულუმის შექმნის პროცესში, ჯგუფის წევრების ფუნქციები განსხვავებული იქნება და დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი ალტერნატიული გზით გადაწყვეტს დაწესებულება კურიკულუმის შექმნას - შეისყიდის თუ არა კურიკულუმის შექმნის მომსახურებას, შექმნის თუ არა ახალ საშტატო ერთეულს, თუ არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებით შექმნის ახალ კურიკულუმს.

კურიკულუმის შექმნის პროცესის შემდეგი ეტაპი კურიკულუმის ჩარჩოს შევსებაა. აღნიშნული ჩარჩო არის მხარდამჭერი დოკუმენტი, რომლის მიზანიცაა დაეხმაროს დაწესებულებას, დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი შემუშავებული კურიკულუმი. კურიკულუმის ჩარჩოს იგივე დანიშნულება აქვს, რაც არსებულ კურიკულუმს - დაეხმაროს საგანმანათლებლო პერსონალს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში, ხოლო ადმინისტრაციულ პერსონალს - ადამიანური თუ სხვა რესურსების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში (მაგ. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვა, და სხვა).

დოკუმენტის შექმნის პროცესში ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიდგომები, სხვადასხვა არსებული კურიკულუმები, ადგილობრივი კონტექსტი და დაწესებულებასა თუ თემში არსებული რესურსები. ამ უკანასკნელში შეიძლება მოვიაზროთ თემში არსებული დაწესებულებები (მაგ. ბიბლიოთეკა, ფოსტა, მუზეუმი, თეატრი, ცირკი, გალერეა, ზოოპარკი და სხვა) და ორგანიზაციები (ადრეული ჩარევის პროგრამის

განმახორციელებელი, ენისა და მეტყველების თერაპიის ცენტრი და სხვა) და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები (საბავშვო მწერლები, მხატვრები, მეცნიერ-გამომგონებლები, მატარებლის მემანქანეები, სხვადასხვა პროფილის თერაპევტები და სხვა.) ვისთან თანამშრომლობაც შეუძლია დაწესებულებას საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე,კურიკულუმის ჩარჩოს შევსებამდე, ჯგუფის წევრები თანხმდებიან კურიკულუმის ძირითად მიზნებსა და პრინციპებზე, რაც შინაარსისა და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველს წარმოადგენს. ჩარჩოს ამ და სხვა ნაწილებზე შეთანხმების შემდეგ ჯგუფი უშუალოდ იწყებს დოკუმენტის შევსებას.

კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი უნდა იყოს კურიკულუმის შემდეგი ელემენტები:

- **ინფორმაცია კურიკულუმის ჩარჩოს შესახებ,** სადაც მოცემულია კურიკულუმის ჩარჩოს სახელწოდება, მითითებულია ავტორები და რომელი პროგრამისთვის (ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა თუ სასკოლო მზაობის პროგრამა) არის განკუთვნილი კურიკულუმი. კურიკულუმის ჩარჩო ასევე იძლევა ინფორმაციას კურიკულუმის სტატუსის შესახებ. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების მიერ შექმნილი უნიკალური დოკუმენტი, ან რომელიმე ერთ კონკრეტულ არსებულ კურიკულუმში მცირედი ცვლილებების საფუძველზე შემუშავებული, ან წარმოადგენს რამდენიმე არსებული კურიკულუმის ნაზავს.
- **კურიკულუმის ჩარჩოს თეორიული საფუძვლები** აღწერს იმ ძირითად თეორიებს, სამეცნიერო მტკიცებულებებს და მოდელებს, რომლებსაც ეყრდნობა შექმნილი კურიკულუმის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები.
- **კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული მიზნის/მიზნების** ნაწილში მოცემულია ის, თუ რას ემსახურება კურიკულუმი - ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას. ასევე, თუ შექმნილ კურიკულუმს აქვს საკუთარი სპეციფიური მიზანი/მიზნები (მაგ, ბავშვის ემოციური კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, ქართული, როგორც მეორე ენა და სხვა). ეს საკითხებიც ნათლად უნდა იყოს გაწერილი ჩარჩოს ამ ნაწილში.
- **კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსი**ს კომპონენტები აღწერს, თუ რას სწავლობენ და აკეთებენ ბავშვები დაწესებულებაში. ამავე ნაწილშია განმარტებული თამაშისა და თემატური მიმართულებების მნიშვნელობა და როლი საგანმანათლებლო პროცესში.
- **კურიკულუმის ჩარჩოს მეთოდოლოგია** აღწერს იმ მიდგომებს, პედაგოგიურ მეთოდებს, ტექნიკებსა და სტრატეგიებს, რომლებსაც იყენებს საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვის განვითარების უზრუნველსაყოფად. ჩარჩოს მეთოდოლოგიურ ნაწილშია განსაზღვრული, თუ როგორ არის

დაბალანსებული უფროსისა და ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობები და როგორ ხდება ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და ინტერესების გათვალისწინება. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ბავშვების შეფასების მეთოდები, განრიგი და ოჯახისა და თემის ჩართულობის საკითხები.

- **ფიზიკური და საგანმანათლებლო რესურსი** აღწერს, თუ როგორაა მოწყობილი დაწესებულების ფიზიკური სივრცე. კურიკულუმის პრინციპებისა და მიდგომების გათვალისწინებით, დაწესებულება განსაზღვრავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანთლებლო რესურსის ჩამონათვალს და ამ რესურსის მინიმალურ სარეკომენდაციო რაოდენობას ერთ ჯგუფზე თუ ბავშვზე, რაც კურიკულუმის ჩარჩოს დანართად შეიძლება იქნას წარმოდგენილი.
- **კურიკულუმის ჩარჩოს ეფექტიანობის შეფასება** საშუალებას აძლევს დაწესებულებას, დაადგინოს, რამდენად პასუხობს კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი და განხორციელებული პრაქტიკა დასახულ მიზნებს. ჩარჩოს ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების ინდიკატორები, მეთოდები, პროცედურები, პერიოდულობა, კომპონენტები და კონკრეტული ინსტრუმენტები.
- **კურიკულუმის ჩარჩოს წყაროები და დოკუმენტაციაში** მითითებულია ლიტერატურის (მეცნიერული სტატიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, სამართლებრივი დოკუმენტაცია, ანგარიშები და სხვა) ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნა ჩარჩოს შემუშავების დროს.

გარდა ამ კომპონენტებისა კურიკულუმის ჩარჩო უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს, ანუ რა პერიოდზეა გათვლილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. გეგმების ფორმებზე გადაწყვეტილების მიღებისას, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში/კურიკულუმებში მოცემული მზა ფორმები, მზა ფორმების ცალკეული ელემენტები ან საგანმანათლებლო პერსონალს მისცეს საშუალება თავად შეიმუშავონ გეგმების ფორმები.

შევსებული ჩარჩო აუცილებლად უნდა დამოწმდეს დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით. ვინაიდან დაწესებულებას აქვს უფლება სხავადასხვა პროგრამაზე/მისამართზე სხვადასხვა შექმნილი კურიკულუმი გამოიყენოს, ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს თუ რომელ პროგრამაზე/მისამართზე რომელი კურიკულუმის გამოყენება ხდება. თუ დაწესებულება ერთ პროგრამაზე/მისამართზე ერთზე მეტ კურიკულუმს იყენებს, მან ბრძანებაში ისიც უნდა აღნიშნოს, თუ რომელი ჯგუფებისთვის არის გამოყენებული კონკრეტული კურიკულუმი.

4. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის გაზიარება

კურიკულუმის ეფექტური განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე იცნობდეს და იზიარებდეს იმ ძირითად მიზნებს, პრინციპებსა და მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების სწავლასა და განვითარებას. სწორედ ამიტომ, ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია შერჩეული თუ შექმნილი კურიკულუმი გაუზიაროს პერსონალს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. როდესაც კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან, ისინი საგანმანათლებლო პერსონალის თანამოაზრეები ხდებიან და ხელს უწყობენ მათ განხორციელების პროცესში. ისინი ასევე ნათლად ხედავენ საკუთარ როლს, მნიშვნელობას და ესმით საგანმანათლებლო პერსონალის სხვადასხვა საჭიროება. ეს ასევე ეხმარება მშობლებს სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებაში და საკუთარი შვილების განათლების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მშობლებსა თუ პერსონალისათვის კურიკულუმის გაზიარებამდე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, კონკრეტულად რა ინფორმაციას ვაწვდით მათ, რა ფორმით/საშუალებით ვაზიარებთ ამ ინფორმაციას და შემდეგ დაიგეგმოს კონკრეტული აქტივობები, რომლის დროსაც მოხდება შერჩეული საკითხების გაცნობა.

4.1. მშობლები

მშობლებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას და როგორ ისწავლიან მათი შვილები ბაღში. შესაბამისად, დაწესებულებამ მათ უნდა გააცნოს კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოკლე და არასპეციალისტისთვის ადვილად აღსაქმელი ფორმით. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს იმ კომპეტენციების აღწერას, რასაც ბავშვი ბაღში ყოფნის შედეგად განივითარებს. დაწესებულებამ შეიძლება აუხსნას მშობელს, რა ეცოდინება და რის გაკეთებას შეძლებს მისი შვილი წლის ბოლოს ან პროგრამის დასრულების შემდეგ. მეთოდოლოგიის მიმართულებით მშობლებმა უნდა იცოდნენ, როგორ და რა თემებისა თუ საკითხების ირგვლივ არის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროცესი, როგორ ფიზიკურ გარემოსა და რესურსს სთავაზობს დაწესებულება მათ შვილებს, რა დროს ატარებენ ბავშვები შენობაში და გარეთ, რა საქმიანობებზე არის ეს დრო გადანაწილებული, რა მიდგომების გამოყენებით მოხდება ბავშვების ქცევის მართვა და სასურველი ქცევების დასწავლა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლებს ესმოდეთ **თამაშის** მნიშვნელობა და იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს თამაშში უნდა ატარებდნენ, რადგან სწორედ თამაშის დროს ხდება მათი სტრესისაგან თავისუფალ გარემოში განვითარება.

ასევე მნიშვნელოვანია მშობლებმა იცოდნენ, რა **საშუალებით ეკონტაქტება დაწესებულება მათ** (მაგალითად, პირისპირ და დისტანციური შეხვედრები, საინფორმაციო დაფა, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ჯგუფები, ბაღის ვებ-გვერდი და სხვა), **რა ღონისძიებები იგეგმება მათთვის წლის განმავლობაში** (მაგალითად, ინდივიდუალური შეხვედრები, მშობელთა კრებები, შემაჯამებელი ღონისძიებები, აღმზრდელის ვიზიტი სახლში და სხვა), **რა ტიპის ჩართულობას ელის მათგან დაწესებულება** (ინფორმაციის მოწოდება ბავშვის შესახებ, მეორადი მასალის შეგროვება, ვიზიტი ჯგუფში და კონკრეტული აქტივობის განხორციელება, საკონსულტაციო საბჭოში გაწევრიანება და სხვა) და **როგორ შეუძლიათ მათ დაწესებულების მხარდაჭერა საკუთარი შვილებისთვის საუკეთესო გამოცდილების შექმნის საქმეში.**

იმისათვის, რომ მშობლები დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში მათი შვილებისათვის ემოციურად უსაფრთხო გარემოა შექმნილი, დაწესებულებამ უნდა გააცნოს **განრიგი და მათი ბავშვის შეფასების მეთოდები და პროცედურები.**

დაწესებულება მზად უნდა იყოს მშობლების დამატებით შეკითხვებზე პასუხების გაცემისა და დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისათვის. მშობლები შეიძლება დაინტერესდნენ, რა დგას დაწესებულების კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უკან და ხომ ნამდვილად არის შერჩეული საკითხები და თემები მათი ბავშვის განვითარებისათვის საუკეთესო. ამ შემთხვევაში დაწესებულებას შეიძლება დასჭირდეს მშობლებისათვის კურიკულუმის საფუძვლების (როგორც თეორიული ასევე სამართლებრივი) გაცნობა.

მშობლებთან გაზიარების მიზნით, კურიკულუმი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება განთავსდეს ბაღის ვებ-გვერდზე ან საინფორმაციო დაფაზე. ასევე შესაძლებელია ძირითადი ინფორმაციის მოკლე ბროშურის სახით დაბეჭდვა მშობლებისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ დაწესებულება დარწმუნდეს, რომ მშობლები არამხოლოდ იცნობენ, არამედ ეთანხმებიან კიდეც კურიკულუმის საკვანძო საკითხებს, უმჯობესია კურიკულუმის გაზიარება მოხდეს ორმხრივი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. შესაბამისად, შეხვედრები (როგორც პირისპირ ასევე დისტანციური) კურიკულუმის გაზიარების საუკეთესო საშუალებაა. თუ გარკვეული მიზეზის გამო ვერ ხერხდება შეხვედრა, დაწესებულებამ შეიძლება ჯერ გაუგზავნოს კურიკულუმი მშობლებს და შემდეგ სატელეფონო საუბრისას/შეხვედრების ფორმატში განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები.

სასურველია, კურიკულუმი გაზიარებული იყოს ბავშვის ბაღში მიყვანამდე, მაგალითად, ოჯახის ბაღში ვიზიტის დროს ან საგანმანათლებლო პერსონალის ოჯახში ვიზიტის დროს. როდესაც მშობლებმა წინასწარ იციან, თუ რა დახვდებათ მათ შვილებს, დაწესებულებაში მცირდება მათი ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული

უკმაყოფილება. მაგალითად, თუ მშობლებს გააზრებული აქვთ და ეთანხმებიან იმას, რომ ბავშვების განვითარება თამაშით უნდა მიმდინარეობდეს, ისინი ნაკლებად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვებს არ უტარდებათ ტრადიციული გაკვეთილები. ან თუ მშობლებმა წინასწარ იციან, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეზოში რისკიან და „ჭუჭყიან“ თამაშებს და მათ ამის სარგებელიც აქვთ გააზრებული, ისინი აღარ მოთხოვენ დაწესებულებას, რომ ბავშვები არ გავიდნენ გარეთ ცუდ ამინდში და ნაკლებად გაღიზიანდებიან იმის გამო, რომ ბავშვები დასვრილი ტანსაცმლით შეიძლება დაბრუნდნენ სახლებში. მშობლები ასევე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ კურიკულუმში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შესახებაც და ეს შეიძლება მოხდეს ცვლილების განხორციელებასთანავე.

4.2. დაწესებულების პერსონალი

თანამშრომელთა გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გუნდის ყველა წევრს ესმოდეს, რა მიზანს ემსახურება გუნდი და რატომ არის ეს მიზანი მნიშვნელოვანი. შესაბამისად, დაწესებულების ტექნიკურ/დამხმარე თუ ადმინისტრაციულ პერსონალს (მაგ. მზარეული, დარაჯი, ბუღალტერი, მნე და სხვა) დაწესებულებამ, არასპეციალისტებისათვის გასაგები ფორმით უნდა გააცნოს კურიკულუმის მიზნები, ღირებულებები და ძირითადი პრინციპები. დაწესებულების პერსონალისთვის ასევე მნიშვნელოვანია კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გაცნობა, რაც მათ დაეხმარებათ საკუთარი საქმის უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში. მაგალითად, ეზოს მოვლაზე პასუხისმგებელმა თანამშრომელმა სასურველია იცოდეს რა ტიპის რესურსია გათვალისწინებული ეზოსათვის, რათა განსაზღვროს რა სჭირდება ამ რესურსის სათანადო მოვლისთვის. ასევე, თუ კურიკულუმში გათვალისწინებულია კონკრეტულ ცენტრებში ბევრი ისეთი აქტივობა, რომლის დროსაც საგრძნობლად ისვრება ოთახი, დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის მნიშნელოვანია ამის ცოდნა, რადგან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჯგუფის ოთახის იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეიძლება ისვრებოდეს. თუ კურიკულუმი იყენებს მრავალფეროვან მეორად მასალას, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ყველა თანამშრომლისთვის, რათა მათ აღარ გადააგდონ დაწესებულებაში არსებული მეორადი გამოყენებისთვის საჭირო ნივთები სამზარეულოდან, კაბინეტიდან თუ სამეურნეო ოთახიდან.

5. ადრეული და სკოლამდელი განათლების კურიკულუმის შეფასება და განვითარება

კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა

კურიკულუმში განსაზღვრული მიზნები. დაწესებულება თავად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ეს და ამისათვის შეიმუშავებს კურიკულუმის შეფასების სისტემას. შეფასების სისტემა მოიცავს ინფორმაციას შეფასების პერიოდულობის, მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების შესახებ. შეფასების სისტემის შექმნაში ჩართული უნდა იყოს როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო, ისე - ადმინისტრაციული პერსონალი.

კურიკულუმის შეფასების პერიოდულობა დამოკიდებულია იმაზე თუ რა ტიპის და კომპონენტის შეფასებას გეგმავს დაწესებულება.

1. ყოველწლიური შეფასება - დაწესებულება მთლიანი კურიკულუმის ეფექტიანობის ფორმალურ შეფასებას ატარებს წელიწადში ერთხელ. სასურველია ეს შეფასება სასწავლო წლის ბოლოსკენ ჩატარდეს, როდესაც განხორციელებული პრაქტიკის შედეგები უფრო თვალსაჩინოა.
2. მიმდინარე შეფასება არის არაფორმალური პროცესი, რომლის დროსაც საგანმანათლებლო პერსონალი აკვირდება ბავშვებს და აგროვებს ინფორმაციას მშობლებისგან ბავშვის განვითარების, ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ.

5.1. კურიკულუმის შეფასების პროცესი

შეფასების პირველ ეტაპზე დაწესებულებამ უნდა შეარჩიოს კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, განსაზღვროს ვინ იქნება ჩართული შეფასების პროცესში და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს კურიკულუმის შეფასების გუნდი, რომლის ყველა წევრსაც მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია ექნება.

ამის შემდეგ, შეფასების გუნდმა უნდა განსაზღვროს შეფასების მიზნები და მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემული იქნება კურიკულუმის რომელი კომპონენტი რა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ფასდება და რა პერიოდულობით.

შეფასების შემდეგი ეტაპი საჭირო ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზებაა. ინფორმაციის მთავარ წყაროს მთელი წლის მანძილზე წარმოებული ბავშვზე დაკვირვების და საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიის ჩანაწერები წარმოადგენს. თუმცა, უშუალოდ ფორმალური შეფასებისთვის დაწესებულებამ უნდა შექმნას/შეარჩიოს ინსტრუმენტები, რომელიც დაეხმარება საგანმანათლებლო პერსონალს კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტებზე და საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიაში და შეაგროვებს მშობლების უკუკავშირს. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის ეტაპზე შეფასების გუნდი, პირველ რიგში, თავს უყრის ყველა მონაცემს და ახარისხებს მას სხვადასხვა კატეგორიად, იმის მიხედვით, თუ რომელ კომპონენტს პასუხობს კონკრეტული მონაცემი. რაოდენობრივი ინფორმაციის შემთხვევაში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამების (მაგ. Microsoft Excell) გამოყენებაც.

ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს:

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეები - რა გაკეთდა კარგად, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი კურიკულუმის მიზნებზე გასვლას.
- გამოწვევები და ის ასპექტები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას - რა იყო ნაკლებად ეფექტური, რატომ ვერ გავედით კონკრეტულ შედეგზე, რა ფაქტორებმა შეგვიშალა ხელი კურიკულუმში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
- რეკომენდაციები კურიკულუმის განვითარებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება კონკრეტული, დროში გაწერილი ნაბიჯები და ის ცვლილებები, რაც დაწესებულებამ უნდა განახორციელოს კურიკულუმის ეფექტური დანერგვისა და მიზნების მიღწევისათვის.

შეფასების ბოლო ეტაპი არის ანგარიშის მომზადება და მომზადებული ანგარიშის დაინტერესებული მხარეებისათვის (პერსონალი, მშობლები, მუნიციპალიტეტი და სხვა) გაზიარება. ანგარიში შეიძლება იყოს ვრცელი, სადაც შეფასების პროცესი, მიგნებები და რეკომენდაციები დეტალურად იქნება წარმოდგენილი. თუმცა, გაზიარების მიზნით შეფასების გუნდს შეუძლია შედარებით მოკლე ანგარიშის წარდგენა, სადაც მოცემული იქნება მხოლოდ ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

5.2. კურიკულუმის შეფასების პროცესში შესასწავლი საკითხები

ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას. ეს იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესსა და ფიზიკურ გარემოს. მშობელთა უკუკავშირი და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია კი პროცესისა და გარემოს შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.

- *საგანმანათლებლო პროცესის შეფასება* გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. დაწესებულებას შეუძლია შეაფასოს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგი მახასიათებლები/ასპექტები/კომპონენტები: დაგეგმვა, განხორციელებული აქტივობები, რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა, ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება,

ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების საქმიანობებში ჩართვის ხარისხი, გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება), აღმზრდელის სტრატეგიები და სხვა. ამ კომპონენტების შეფასების ერთობლიობა მისცემს დაწესებულებას ინფორმაცის იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება კურიკულუმი და რა ფაქტორები ახდენს გავლენას კურიკულუმის მიზნების მიღწევაზე.

- პროცესის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია კი წელიწადში ერთხელ უნდა გაანალიზდეს კურიკულუმის ყოველწლიური, ფორმალური შეფასების ფარგლებში.
- შესაძლოა, შეფასებისათვის შეიქმნას/გამოყენებული იქნას მზა სახის სხვადასხვა ტიპის შესავსები ცხრილები, ან რეფლექსიის კითხვარები, რომლებსაც შეავსებენ დაწესებულების სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალი და მშობლები. მნიშვნელოვანია ბავშვების შეხედულებების გათვალისწინებაც, რაც ძირითადად დაკვირვების ჩანაწერებსა და პორტფოლიებში არის წარმოდგენილი.

- *ფიზიკური გარემოს შეფასება* გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად გვეხმარება ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევაში. ფიზიკური გარემოს შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ჯგუფის ოთახის, ასევე ეზოს მოწყობა/გამოყენება. საგანმანათლებლო პროცესის მსგავსად ბავშვებზე დაკვირვება ფიზიკური გარემოს შეფასების მნიშვნელოვანი საშუალებაა. თუმცა, ამ შემთხვევაში დაკვირვების ფოკუსი უნდა იყოს არა იმდენად ბავშვის განვითარების სფეროები, არამედ მისი ინტერაქცია გარემოსთან - შეუძლიათ თუ არა ბავშვებს თავად აირჩიონ და თავისუფლად გამოიყენონ ჯგუფსა და ეზოში არსებული რესურსი, არის თუ არა რესურსი საკმარისი ყველა ბავშვისთვის, იწვევს თუ არა გარემო ბავშვების ახალ ინტერესებს და იძლევა თუ არა მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალებას.
    - ფიზიკური გარემოს შეფასება საგანმანათლებლო პერსონალის პასუხიმსგებლობაა, თუმცა, ასევე შესაძლებელია ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში (მაგ. უსაფრთხოება). საგანმანათლებლო პროცესის მსგავსად ფიზიკური გარემო უნდა ფასდებოდეს მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიის

საფუძველზე. ყოველწლიური ფორმალური შეფასების ფარგლებში კი შესაძლებელია როგორც მიმდინარე შეფასების საფუძველზე, ასევე დამატებით, უშუალოდ ფორმალური შეფასებისთვის შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება.

- ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია შექმნას შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც შეიძლება ქონდეს ცხრილის ან რუბრიკის სახე და რომელშიც წარმოდგენილი იქნება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მნიშვნელოვანი პუნქტები და მახასიათებლები, მაგალითად, ბავშვების ასაკის შესაბამისი რესურსის ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება, უნივერსალური დიზაინის პრინციპები, ცენტრები და სხვა. შემუშავებული ინსტრუმენტი წაახალისებს საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიას და სწორედ ამის საფუძველზე ივსება. ასეთი ინსტრუმენტის შევსებისთვის საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია მთელი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვების ჩანაწერების გამოყენება.

5.3. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება

კურიკულუმის განვითარება ნიშნავს მის ერთ ან რამდენიმე კომპონენტში ცვლილების განხორციელებას. კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებულმა მიგნებებმა და რეკომენდაციებმა შეიძლება გამოიწვიოს კურიკულუმის კონკრეტული კომპონენტის/კომპონენტების ცვლილება, რაც საბოლოო ჯამში კურიკულუმის განვითარებასა და მისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. კურიკულუმში ცვლილების შეტანა შეიძლება პროცედურულად განსხვავდებოდეს ცვლილების მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე. თუ შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილება ფუნდამენტურად არ ცვლის კურიკულუმის ძირითად მიზნებს, შინაარსსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს და კურიკულუმის მხოლოდ მცირედით განახლებას მოითხოვს, ასეთი ცვლილების განხორციელება ხდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე. ასეთი ცვლილება შეიძლება იყოს თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილება, კურიკულუმის მიზნების დაზუსტება და ხელახალი ფორმულირება, ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანა, საგანმანათლებლო რესურსის შეცვლა/გამრავალფეროვნება, ფიზიკური გარემოს გადაწყობა გამრავალფეროვნება, ცვლილებები ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში (მაგ: ბავშვის ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების გათვალისწინება),

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლა, ცვლილებები დროით გარემოში (დღის განრიგში), ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში, კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფა და სხვა. ამ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები აისახება კურიკულუმის ჩარჩოში/დეკლარირებულ კურიკულუმში და ხდება მისი დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად ან სხვა მიზეზით გამოვლინდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, როგორიცაა კურიკულუმის შეცვლა, რაც ნიშნავს არსებული კურიკულუმის სხვა კურიკულუმით ჩანაცვლება, ან შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმის დამატებას/ერთი ან რამდენიმეს ამოღებას (მაგ:, ხელოვნების მეშვეობით ემოციური გაჯანსაღება და სწავლა HEART დამატება კურიკულუმ „თამაშზე“ და სხვ.) ასეთ შემთხვევაში დაწესებულებამ ჯერ უნდა შეარჩიოს კურიკულუმი/შექმნას კურიკულუმის ახალი ჩარჩო, შემდეგ გაიაროს ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესი - პროგრამის დამატება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს მისი განხორციელება.